საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის მუზეუმი

თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის მუზეუმი, 1928 სამხატვრო აკადემიის რექტორის ა. დუდუჩავას თაოსნობით შეიქმნა აკადემიის სტუდენტთა და ასპირანტ-სტაჟიორთა საუკეთესო ნამუშევრების ფონდი; საფონდო კოლექციები გაამდიდრა პროფესორ-მასწავლებელთა და მათ საკუთრებაში არსებულმა სხვა გამოჩენილი ოსტატების ტილოებმა. დროთა განმავლობაში ფონდს შეემატა გამოყენებითი ხელოვნების სხვადასხვა დარგის (მინა, კერამიკა, თექა, ჭედურობა, ტიხრული მინანქარი და სხვ.) ნიმუშები. XX ს. 90-იან წლებში ფონდის ბაზაზე შეიქმნა მუზეუმი, რ-იც განთავსდა სამხატვრო აკადემიის სათავო შენობის მეორე სართულზე, გვიანირანული მხატვრული სტილით მორთულ „სარკეებიან დარბაზში". მუზეუმის ფონდში დაცულია სხვადასხვა დარგის გამოჩენილ ოსტატთა 1000-ზე მეტი ნამუშევარი